ქ. ვროცლავში (პოლონეთი) სტაჟირების კონკურსი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების მასწავლებლებისათვის

ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი (ბათუმის მასწავლებლის სახლი) აცხადებს საჯარო სკოლის საზოგადოებრივ მეცნიერებათა საგნების მასწავლებლების შესარჩევ კონკურსს პოლონეთში, ქვემო სილეზიის მასწავლებელთა მომზადების ცენტრში (ქ. ვროცლავი) ერთკვირიანი სტაჟირებისათვის.

კონკურსის შედეგად შერჩეულ მასწავლებლებს საშუალება ექნებათ ვიზიტის პერიოდში დაათვალიერონ ქვემო სილეზიის მასწავლებელთა მომზადების ცენტრი, შეხვდნენ ადმინისტრაციას; მოისმინონ ტრენინგი საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლების ზოგად მეთოდიკაში; ტრენინგები ისტორიის, გეოგრაფიისა და სამოქალაქო განათლების სწავლების თანამედროვე ინტერაქტიულ მეთოდიკაში, გაეცნონ გაკვეთილის დაგეგმვაა საგნებში; ტექნოლოგიების გამოყენებას გაკვეთილებზე; მათ ექნებათ ვიზიტი პოლონურ სკოლაში; ისინი დაესწრებიან გაკვეთილებს, ჩაატარებენ შეხვედრას სასკოლო კლუბის წევრებთან და მასწავლებლებთან.

კონკურსის შედეგად შეირჩევა: 3 ისტორიის, 3 გეოგრაფიის, 3 სამოქალაქო განათლების პედაგოგი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის საჯარო სკოლებიდან. მათი სტაჟირების სრული დაფინანსება განხორციელდება ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდის (ბათუმის მასწავლებლის სახლი) მიერ.

- ✓ **კონკურსის პირობები:**

კონკურსში მონაწილე:

- ✓ უნდა იყოს მოქმედი **უფროსი/წამყვანი/მენტორი** პედაგოგი;
- ✓ კანდიდატი უნდა ასწავლიდეს შესაბამის საგანს **აჭარის საჯარო სკოლაში;**
- ✓ სტაჟირების პროგრამის ფარგლებში პედაგოგი **არ უნდა იყოს ნამყოფი** აღნიშნულ ცენტრში.

შენიშვნა:

1. *რომელიმე მიმართულებაში გამოთავისუფლებული ვაკანსია გადანაწილდება სხვა მიმართულებაში.*

- ✓ **საჭირო დოკუმენტაცია:**

1. CV ქართულ ენაზე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. ჩატარებული გაკვეთილის გეგმა აქტიური სწავლების მეთოდების გამოყენებით ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ საკითხებზე (word-ის დოკუმენტი, არაუმეტეს სამი გვერდი, A4 ფორმატი , Sylfaen 11 შრიფტით, ხაზებს შორის დაშორება 1,5)

4. ჩატარებული გაკვეთილი Power Point პრეზენტაციის სახით (8-10 სლაიდი/ თხრობის ხანგრძლივობა 10 წუთი)
5. უფროსი/წამყვანი/მენტორი მასწავლებელის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი;
6. შესაბამისი საგნის მასწავლებლობის დამადასტურებელი ცნობა სამუშაო ადგილიდან *(ელექტრონული ხელმოწერით ან კვალიფიციური ელექტრონული შტამპით დამოწმებული).*

- ✓ **ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტაცია უნდა წარადგინოთ შემდეგ ელექტრონულ მისამართზე:ajaraedufund@gmail.com**
- ✓ **მასალის წარდგენის ბოლო ვადაა 2019 წლის 1 მარტი (18.00 სთ).**

შენიშვნა:
1. არასრული ინფორმაციის შემცველი განაცხადები არ განიხილება!
2. ვადების დარღვევით შემოსული განაცხადი არ განიხილება!

- ✓ **კანდიდატების შერჩევა მოხდება ორ ეტაპად:**

I ეტაპი: დოკუმენტაციის ელექტრონულად მიღება/გადარჩევა
II ეტაპი: კომისიასთან გასაუბრება, გაკვეთილის წარდგენა/პრეზენტაცია და მისი განხილვა

- ✓ **ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი:**

ლალი ლომთათიძე (დირექტორის მოადგილე)
საკონტაქტო ტელეფონი: 599 94 04 66
ა(ა)იპ აჭარის განათლების ფონდი
მისამართი: ქ. ბათუმი, ბაგრატიონის ქუჩა #121